№ 8
ხუთშაბათი, 10 იანვარი 1902 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

№ 8
ხუთშაბათი, 10 იანვარი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ. მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
16
ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნიკოლოზ. ქ. ქალანთარის ქარვასლის პირ-და-პირ**).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს 10 იანვარს 1902 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ
ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით

კიდევ ერთი მსხვერპლი

კომედია 5 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა. ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ურუშაძე. და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია
რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი ტყვე“.

---

13 იანვარს ამა წლისა, დილის ათ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება **გურიის ამხანაგობის „შუამავლის“** წევრთა.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) არჩევა გამგეობის წევრთა ნაცვლად იმ პირებისა, რომლებმაც ეს თანამდებობა არ მიიღეს, თანახმად უკანასკნელის არჩევანებისა,

2) განხილვა იმ კითხვებისა, რომლებიც 16 დეკემბერს 1901 წლის წლიურს კრებაზედ განუხილველნი დარჩნენ.

ფირმის უფროსი ს. პეიშვილი.
(3—6.—3).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს [illegible] მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე ბძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.
ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—17).

ინსტრუქცია

მეეზოვეთათვის გამოცემული ტფილისის გუბერნატორისაგან, თანახმად მე-5 მუხ. სტ. 1901 წ. ნოემბრის 15-ს ტფილისისათვის შემოღებულის და მთავარ-მართებლისაგან დამტკიცებულის სავალდებულო წესებისა *).

საერთო მოვალეობა მეეზოვეთა

(იხ. № 4 „ივერია“)

II. 4. რომ კერძო სახლებსა და სხვა შენობებში არ იქონიონ საიდუმლო სტამბები, ასაფეთქები ნივთიერებანი და მმართებლობის წინააღმდეგი გამოცემანი;

II 5. რომ არავითარი მიწის მუშაობა არ სწარმოებდეს სახლებში პოლიციის ნება-დაურთველად;

§ 6. რომ ყოველ-დღე, თანახმად ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებისა, ეზოების და სახლების წინ ქუჩების დაგვა გათავებულ იქმნეს დილის 8 საათამდე და შემდეგ მათს სიწმინდეს ხელს უნდა უწყობდნენ მთელი დღე;

§ 7. რომ მთელი მოგროვილი ნაგავი და ნეხვი, თანახმად ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებისა, გადასაყარ ადგილზე მიტანამდე, იქონიონ განსაკუთრებით საამისოდ გაკეთებულსა და დახურულს ყუთებში;

§ 8. რომ სანაგვე ყუთები და ფეხის ადგილები, თანახმად ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებისა, მეტის-მეტად არ უნდა ივსებოდეს, თავ-თავისს დროს იწმინდებოდეს და დეზინფექციას უკეთებდნენ ხოლმე;

§ 9. რომ ზამთრობით, როცა გზები ყინვით არის მოლიპული, ტროტუარებს, თანახმად ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებისა, წაეყარონ ქვიშა, დანაყილი აგური, ანუ ნაცარი;

§ 10. რომ ცეცხლის გაჩენის ასაცილებლად, თანახმად ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებისა, თავ-თავისს დროზე იწმინდებოდეს ბუხრის მილები (ყალმები), ეზოებში და ქუჩებზე ინთებოდეს ცეცხლი და სხვ.

სტ. II. მეეზოვენი ვალდებულნი არიან პირადად იცნობდნენ ყველა მდგმურებს სახლისას და მათს მოსამსახურეებს და მკაცრად ადევნონ თვალყური, რომ მდგმურთა გვარები, სადაც ორ ბინაზე (კვარტირა) მეტია, განსაკუთრებულს ფიცრებზე იყოს წარწერილი და თვით ის ფიცრები თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულნი ალაყაფისა ანუ მისავალ კარებზე.

სტ. III. მეეზოვენი ვალდებულნი არიან პირველ დარეკისათანავე გამოვიდნენ ქუჩაში პოლიციისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ამიტომაც სახლის პატრონები ვალდებულნი არიან მოაწყონ ზარი ჭიშკრიდგან მეეზოვეს სადგომამდე და ზედ წააწერონ: „მეეზოვესათვის“.

მორიგი მეეზოვეს ვალდებულებანი

სტ. IV. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადო სახლებისა და უძრავ ქონების პატრონებს უნდა ჰყავდეთ ყოველ-დღე მორიგი მეეზოვე ქუჩაში დაყენებული.

შენიშვნა. მეეზოვეთა მორიგეობა დადგენილია დღითა და ღამით, რიგ-რიგობით მეეზოვეთა შორის; მათის მორიგობის სიას შეადგენს პოლიცმეისტერი და გამოაცხადებს საპოლიციო უბნების შემწეობით. სიებში მეეზოვეები ისე უნდა იყვნენ ნავარაუდები, რომ თითოეულს მეეზოვეს ოთხს საათზე მეტი არ უნდა მოუხდეს ქუჩაში მორიგობა.

სტ. V. მეეზოვეთ, მორიგობის დროს, არაფერი არ უნდა დასაქმონ სახლის პატრონებმა, რომ მორიგობას არ მოაცდინონ; მეეზოვეთ ნება არა აქვთ დაძინებისა და წამოწოლისა.

სტ. VI. მორიგი მეეზოვენი ვალდებულნი არიან სახლებს გარედ იყვნენ, არ შეაფარონ თავი არც ალაყაფის კარებს, არც სახლებს.

სტ. VII. მორიგი მეეზოვენი ვალდებულნი არიან კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ ყველა კერძო პირებს, რომელნიც მათ შემწეობას სთხოვენ, აგრეთვე სიტყვის შეუბრუნებლად უნდა აღასრულონ ყოველივე კანონიერი მოთხოვნილება პოლიციისა და აღმოუჩინონ მას სრული დახმარება, როცა იგი, პოლიცია, თავისს თანამდებობას ასრულებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიცია იჭერს ისეთს ადამიანებს, რომლებიც გაურბიან და წინააღმდეგობას უწევენ მას.

სტ. VIII. მორიგობის დროს მეეზოვენი ვალდებულნი არიან:

§ 1. თვალყური ადევნონ, რომ პოლიციის ნება დაურთველად არსად გააკრან რამე განცხადება აფიშები და სხვ.

§ 2. ფხიზლად იცავდნენ სახლებს ცეცხლის გაჩენისაგან.

§ 3. თვალ-ყური ადევნონ, რომ ალაყაფისა და მისავალი კარები, ღამის 11 საათიდგან გათენებამდის დაკეტილი იყოს რაზითა.

§ 4. დააკავონ და პოლიციას წარუდგინონ ისეთნი პირნი, რომელთაც შენიშნვენ რამე ბოროტ-მოქმედებას, კაცის კლვას, დაჭრას გაცარცვას, ქურდობას, მათხოვრობას და სხვ…

§ 5. თვალ-ყური ადევნონ ყველაფერს, რაც ქუჩაში ხდება, სახლებიდგან გამომსვლელთა და შემსვლელთა, განსაკუთრებით საეჭვო პირთ და იმათ, ვინც სახლებიდგან გამოდიან ხელში ბოღჩებითა და სხვა რამ ნივთებით.

§ 6. თვალ-ყური ადევნონ, რომ სახლებში არ იკრიბებოდნენ ხოლმე საეჭვო პირნი, დაუყოვნებლივ აცნობებდნენ უბნისა, პოლიციის ბოქაულს, როცა ასეთი შეკრებილება მოხდება.

სტ. IV მეეზოვე, როცა მორიგედ სდგას, ვალდებული არის ტანთსაცმელს ზემოთ ზონრით ატარებდეს დანომრილს (რიგისამებრ) ლითონის ფირფიტას (ბლიახა) ზედ წარწერით „მეეზოვე“ და აგრეთვე პოლიციელებისათვის დაწესებულს სასტვენელს.

---

*) ამ სავალდებულო წესდების მე-6 სტ. თანახმად, იმ პირთ, რომელთაც ეს ეხება, წესდების დარღვევისათვის „სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივის მშვიდობიანობის დაცვის წესდების“ მე-15 და 16 სტატიების თანახმად, ადმინისტრატიული წესით ჯარიმად გადახდებათ 500-მდე მ., ანუ დასჯილ იქნებიან 3 თვემდე დაპატიმრებით. ამ სასჯელისა და ჯარიმების დადგენის უფლება, თანახმად I პუნქ. მე-16 სტ. გაძლიერებულ დაცვის წესდების ძალით, მინიჭებული აქვს ტფილისის გუბერნატორს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველოს შესახებ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველოს წევრებად დაუნიშნავს: თ-დი კირილე ლორთქიფანიძე, დავ. ბაქრაძე, დავ. არ. ლორთქიფანიძე, დავ. ბეს. ხელთუფლიშვილი, სერგი ჯაფარიძე, იასონ ბაქრაძე და პარმენ ჭიჭინაძე.

სკოლის კეთილდღეობა დიდი ხანია მოითხოვდა ამგვარ რეორგანიზაციას, რაიცა ჩვენ თავისს დროზე განვუმარტეთ მკითხველებს „ცნობის ფურცლის“ საშუალებით, და ახლა სკოლის ყველა კეთილის მსურველი მოხარული უნდა იყოს საქმის ამ რიგად დაბოლოვებით, მით უმეტეს, რომ გამგეობას სამზრუნველოს წევრებად აურჩევია ისეთნი, რომელნიც სრულის ენერგიით შეუდგებიან მძიმე მოვალეობის აღსრულებას და სკოლას შეუვსებენ ყოველს ნაკლულოვანებას.

ქუთაისის სკოლა დროთა ვითარების გამო ისეთს გარემოებაშია, რომ შრომა და პატრონობა სჭირია; ამიტომ სამზრუნველოს ახლად დანიშნულნი წევრნი ყოველგვარ შესაძლებელს ღონეს იღონებენ, რათა სკოლის პრესტიჟი სწავლა-აღზრდისა და ეკონომიურის მხრით სასურველ სიმაღლემდე აიყვანონ და მოაგვარონ, და ის ნაკლი და უხერხულობა ჩამოაშორონ, რის ჩამოშორებაც ყოფილმა სამზრუნველომ თავისს დროზე ვერ შესძლო.

სამზრუნველოს მოხსენებული რეორგანიზაცია, საქმის დღევანდელ ვითარების მიხედვით, სრულის თანაგრძნობის ღირსია, მხოლოდ, ჩვენის აზრით, გამგეობას სამზრუნველოს წევრთა დანიშვნის დროს ერთი შეცდომა მოსვლია, რომლის გასწორებაც სულ ადვილად შეიძლება. საქმე ისაა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას თავის სკოლებისათვის ჯერ-ჯერობით საკუთარი რევიზორი არა ჰყავს, და ამის გამო თვით სკოლის კეთილდღეობა მოითხოვს იქაურმა სამზრუნველომ მოახდინოს დრო-გამოშვებით სწავლა-აღზრდის მხრით სკოლის რევიზია. გარდა ამისა, არსებულ ინსტრუქციის მიხედვით სამზრუნველომ უნდა დასდოს მსჯავრი ისეთ საგნების შესახებ, რომლის ასე თუ ისე გარდაწყვეტა სპეციალურს, პედაგოგიურ მომზადებას და გამოცდილებას თხოულობს, მაშინ როდესაც ახლად შედგენილ სამზრუნველოს წევრთა შორის პედაგოგთაგანი არავინ არ მოჰყოლია.

ამიტომ, ჩვენის აზრით, საქმის უფრო ნაყოფიერად და კეთილად წარსამართავად აუცილებლივ საჭიროა, რომ გამგეობამ სამზრუნველოს წევრად აირჩიოს ერთი ან ორი პედაგოგი, რომელთა შემწეობით სამზრუნველო სკოლისა დრო-გამოშვებით რევიზიასაც შესძლებს და ამა თუ იმ პედაგოგიურ საგნის სასურველად გადაწყვეტასაც.

თუ გამგეობამ ეს დამატებითი არჩევანი არ მოახდინა, სკოლის სამზრუნველო უხერხულს მოგომარეობაში ჩადგება, რადგანაც ყოველის კერძო შემთხვევისათვის იძულებული შეიქნება მიიწვიოს თავისს კრებაზე სხვა და სხვა პედაგოგიურ საგნის გადასაწყვეტად ესა თუ ის პედაგოგი, რაიცა ყოველთვის საძნელოა, თუ ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიც არა.

ა. **ჟუმისთაველი.**

ახალი ამბავი

⁂ დღეს, იანვრის 10, ქართულს თეატრში ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ვ. აბაშიძის მონაწილეობით გაბრიელ სუნდუკიანცის 5 მოქმედებიანი კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“. ნ. გაბუნია ერთი უპირველესთაგანი დრამატიული ნიჭია ჩვენის სამშობლო სცენისა. ეს კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი პატივისცემა მისდამი და, ეჭვი არ არის, დღესაც კვლავინდებურად პატივს სცემს მისს ძალუმს ნიჭს.

⁂ ტფილისში ამ ბოლო დღეებში ბევრი მუშა-კაცი, უპირატესად რუსობა მოაწყდა ქალაქს მეეზოვეთა თანამდებობის საშოვნელად.

⁂ განსვენებულს ე. ლ. ვედენეევს 70,000 მდე მანეთი შეძლება დარჩენია. ხმა ისმის, რომ ანდერძით მთელი ქონება ვითომც მარტო ერთის შვილისათვის დაეტოვებინოს.

⁂ დღეს, 10 იანვარს, ქალაქის სკოლების გამგე კომისიამ უნდა აირჩიოს ვინმე მრავალ მთხოვნელთა შორის პირველ-დაწყებითს სკოლებში ქართულის ენის მასწავლებლის თანამდებობაზე, ნაცვლად უდროვოდ გარდაცვლილის თამარ ქუჩუკაშვილისა.

⁂ რედაქციამ მიიღო წრევანდელი პირველი № ჟურნალის „Кавказскій Вѣстникъ“-ისა. ჟურნალი ჩვეულებრივად საინტერესოდ არის შედგენილი. სხვათა შორის, მოთავსებულია ნიჭიერად ნათარგმნი ს. ა—საგან ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი,“ ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“ და სხვ.

⁂ გუშინ-წინ, 8 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულთა, რომლის პატრონებმა ვერ შეიტანეს გადასახადი ფული. დანიშნული იყო გასასყიდად სულ ცხრა მამული, ამათგან 6 გაიყიდა და 3 ვერა. ამათში 3 ქალაქისაა და სამი სოფლისა.

⁂ სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს ბატონიშვილს პეტრე გრუზინსკის ფინანსთა მინისტრისაგან მოუვიდა ათი ეგზემპლიარი წიგნი შემდეგის სათაურით: „ქინაქინის ხე და მისი შეგუება კავკასიაში“-დ-რის განოცკოვისა. წიგნი კარგად მოზრდილია და, როგორც შინაარსიდგან სჩანს, ქინაქინის ხე შესაძლებელია მოშენდეს შავის ზღვის ნაპირას.

⁂ სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ. შადინოვს ქაღალდი მიუცია ხსენებულ საზოგადოებისათვის, რომ ბ. ენფინჯიანცი, თამბაქოს ქარხნის პატრონი, უფრო მეტის ჯილდოს ღირსია ვიდრე ოქროს მედალისა. ამბარცუმ ენფინჯიანცმა თამბაქოს მრეწველობას ხელი მოჰკიდა 1852 წელს, ე. ი. 50 წლის წინად. 15 წლის წინედ ლაგოდეხში დათესა 15 დესეტინა თამბაქო და იმის მიბაძვით ეხლა მთელი ის მხარე მეთამბაქოობას მისდევსო. წლიური აღებ-მიცემობა ენფიანჯიანცისა მილიონამდე ადის და აქციზს იხდის ოც-და თექვსმეტს ათასს თუმანს. გამგეობამ შეიწყნარა ეს მოხსენება და ოქროს მედალის მაგიერ საპატიო დიპლომის ღირსად სცნო.

⁂ სამეურნეო საზოგადოებას გამოუცია რუსულს ენაზე „ისტორიული აღწერა წინამძღვარიანთ კარის სკოლის მოქმედებისა“ ოთხ სექტემბრიდგან 1883 წლიდამ ვიდრე 4 სექტემბრამდე 1901 წლისა. წიგნაკში მოხსენებულია სკოლის 18 წლის მოღვაწეობა, შემოსავალ-გასავალი და სხვა საყურადღებო ცნობები. სხვათა შორის, ჩართულია ხარჯთაღრიცხვა 190½ წლისა. ამ წელს მარტო სკოლაზედ დახარჯულა 7112 მანეთი. წიგნაკში მოთავსებულია სკოლაში კურს დამთავრებულ მოწაფეთა გვარი, სახელი და მათი ეხლანდელი სამსახური ანუ ხელობა. მათი რიცხვი ორმოც და თექვსმეტამდე ყოფილა. წიგნაკში მოთავსებულია აგრეთვე 3 ფოტოგრაფიული სურათი სკოლის შენობისა და 20 სკოლაში კურს-დამთავრებულ მოწაფისა.

⁂ ს. სურამიდგან (გორის მაზრა) გვწერენ, რომ იქაური სამინისტრო სასწავლებლის შენობა უკვე დაუმთავრებიათ ადგილობრივ მასწავლებლის მეცადინეობით და მალე სწავლას ახალს შენობაში დაიწყებენო.

*** ს. ფშაველიდგან (თელავის მაზრა) გვატყობინებენ: აქეთ ძალიან მრავლდებიან არამკითხე ფერშლები, რომლებიც სათანადო მთავრობის ნებადაურთველად სწამლობენ ხალხს. ამას წინადაც ერთმა ასეთ ფერშალთაგანმა თავისის უვარგის წამლებით სიკვდილის პირად მიიყვანა ს. ალვანის (თიანეთის მაზრა) მცხოვრები ქალი.

აქეთ ძალიან კარგი ამინდებია, ხალხი ზაფხულის ტანისამოსში დადის. ვშიშობთ ასეთმა ტაროსმა მოსავალზე ცუდი გავლენა არ იქონიოს.

იმერეთის ამბები.

*** **სოფ. შულადიდი** (სენაკის მაზრა): შობის წინა დღეებში აქ ერთი არა ჩვეულებრივი და თან სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებს, გვარად ბერაიას, შეჰყვარებია ამავე სოფლის ერთი ახალგაზდა და გაუთხოვარი „ციცა“. ამათი ამბავი დიდ-ხანს არავის სცოდნია, ხოლო ბოლოს, როდესაც საქმე საქმეზედ მიმდგარა, ეს ამბავი ქალს თავის დედისათვის გაუნდვია. შეიქმნა „ციცა“ ავად თუ არა, დედა მისმა თავისი ქმარი სხვაგან გაჰგზავნა. სანამ კაცი შინ დაბრუნდებოდა, „ციცა“ განთავისუფლდა ავადმყოფობისაგან. დედამ ახლად დაბადებული ბავშვი თავის ქალი-შვილის გამაპატიურებელ ყმაწვილს მისცა, შენი ვალია, შენ უგდე ყური და შენ გაზარდეო. ყმაწვილს მეტი რა გზა ჰქონდა, წამოუყვანია ეს ბავშვი, ჯერ ყელი გამოუჭრია და შემდეგ გადაუგდია რიონში. მისდა საუბედუროდ, ვიღაცას თვალი მოუკრავს, რომ ამ ყმაწვილმა რაღაცა წყალში ჩააგდო; მისულა ეს კაცი და უნახავს, რომ ახლად დაბადებული ბავშვი ყოფილა, მკვდარი და ყელ-გამოჭრილი. ეს გარემოება ამ კაცმა მამასახლისს უამბო. მამასახლისმა ბავშვი წყლიდან ამოიყვანა, დამნაშავე შეიპყრო და ახალ-სენაკის პოლიციას გარდასცა. პოლიციამ ოქმი შეაყენა და დამნაშავე გამომძიებელს წარუდგინა. იქაურები მოელიან, თუ რითი და როგორ გათავდება ეს სამწუხარო ამბავი...

*** **სოფ. ქვემო-თეკლათი** (სენაკის მაზრა): 1 იანვარს ამ სოფლის მცხოვრები გლეხი, გვარად გარუჩავა, როდესაც ჩვეულებრივ ფერხობას მორჩა, გარედ გავიდა თოფით, ნადირს ან ფრინველს მოვკლავ და მით მივეგებები ახალ წელსაო. უკან დაბრუნებულს ცოლი მიჰგებებია, აბა რა ინადირეო, ხომ არ გაგცუდებია ახალ-წლის ხელიო“? „გაცუდებით-კი არ გამცუდებია, მაგრამ ამ ოხერმა თოფმა მიმტყუნაო. კაცს სინჯვა დაეწყო თოფისა. ქალი იქვე მდგარა. იგრიალა უცებ თურმე თოფმა და ცოცხალ-მკვდარი ქალი მიწაზედ დაეცა. ქალის ჭრილობა ძალიან საშიშია, რადგანაც საფანტით გატენილი თოფი შიგ ძუძუში მოჰხვედრია საბრალო ქალს.

*** **იქიდგანვე**: ვერ მოგვეცა შველა ღამის რაინდებისაგან. სახლების გაძარცვა თუ შინაურ საქონლის მოტაცება ხშირი ამბავია აქ. დეკემბრის შუა რიცხვებში სოფ. ზემო-თეკლათის მცხოვრებს აზნ. სამსონ კობახიძეს ცხენი მოჰპარეს ქურდებმა. ქურდები კარებიდგან ვერ შესულან, საძირკველის ქვეშ მიწა გამოუთხრიათ და ისე შეპარულან.

ჩვენს ქალებს.

თუ ქირისუფალი არ სტირის,
მობანეს რა თავი სტკივაო!
(ხალხური ანდაზა).

აგერ სამი წელიწადია, რაც ქართველი საზოგადოება გულ-მოდგინედ არჩევს იმ საკითხს, თუ როგორ მოვიხმაროთ ის ფული, რომელიც ქუთაისისა და ტფილისის ბანკების დამფუძნებელთ უნდა დაუბრუნდეთ. ამ საგანს ახლა მეორეც დაემატა: რა ვუყოთ, როგორ გავანაწილოთ ის ფული, რომელიც უმაღლესის ბრძანებით ებოძა თავად-აზნაურობას ორივე გუბერნიისას თავიანთ შვილთა აღსაზრდელად? ათასი საქმე გამოინახა, ათასმა საჭიროებამ დააღო პირი და ყველა ამ სავალალო საგანს ათასობით ქირისუფალნი გამოუჩნდნენ. სხვათა მწვავე საჭიროებათა შორის აქა-იქ მოწიწებით, კანტი-კუნტად გაისმა ხმა ქალთა განათლების საჭიროებისაცა, მაგრამ მხოლოდ მკრთალად და მოწიწებით, ისე,—სხვათა შორის.

ამ ორის წლის წინად მეც მივეცი ჩემს თავს ნება ერთხელ კიდევ გამეგონებინა ქართველ საზოგადოებისათვის, რომ დედათა აღზრდა დიდი ხანია მან აღიარა უპირველეს თავის საქმედ და ამ ათის წლის წინად დაავალა ბანკის მმართველთ: „ყოველი ღონისძიება, რაც-კი ბანკს აღმოუჩნდებოდა და მასთან თვალსაჩინო და ბლომი, მიემართნა ქალთა აღზრდის საჭიროების დასაკმაყოფილებლად“. მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბანკის მმართველთ დაივიწყეს **ეს ერთხმივი** დავალება საზოგადოებისა (პარტიის განურჩევლად იყო დავალება), თუ არავითარი წყარო არ აღმოუჩნდა ბანკს, ღმერთმა იცის!

დღეს-კი როდესაც გასანაწილებელია ის ფული, რომელიც ბანკის დამფუძნებელთ უბრუნდებათ და ზედ ემატება უმაღლესად ნაბოძებიც და, როდესაც თავად-აზნაურობა ფაცი-ფუცით ანაწილებს ამ თანხას და დედაკაცთა განათლებას-კი უკან აყენებს, ეს გარემოება იმდენად უსამართლო საქმედ მიმაჩნია, რომ არ შემიძლიან არ მივმართო ქართველ დედაკაცთ და არ ვსთხოვო ხმის ამოღება. „თუ ქირისუფალი არ სტირის, მობანეს რა თავი სტკივაო“, ამბობს ქართული ანდაზა. და მართალსაც ამბობს. თუ ქალთა აღზრდის კითხვა ჩრდილში მიდგა, მე ვგონებ ამისი მიზეზი თვით ჩვენი, დედაკაცთა მიძინებაა და ჩვენგანვე უარ-ყოფა ჩვენის უფლების დაცვისა. მაშინ, როდესაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ივსებოდა წერილებით, თუ როგორ მოვიხმაროთ ფრიად დიდი თანხაო, არც ერთმა ქალმა არ ამოიღო ხმა და ჩემს უსუსურ ხმას მხარი არ დაუჭირა.

დღეს, როდესაც საუკეთესო ქართველთა შვილთაგან არჩეულმა კომისიამ თითქმის უარჰყო ქალთა განათლების საჭიროება და მათ საერთო ხვედრიდგან მარტო მეათედი მიჰკერძა ქართველ ქალთ, საცა უნდა იყოს იგი, მივარდნილ სვანეთიდგან დაწყებული საინგილომდე, მოვალეობად უნდა მიაჩნდეს ხმა ამოიღოს საერთო საქმის დასაცველად და აუწყოს ქვეყანას, თუ რა მდგომარეობაშია საზოგადოდ დედათა განათლება, რა გვარი და რა მიმართულების განათლებას უფრო ჰსაჭიროებს ამა თუ იმ ჩვენის ქვეყნის კუთხის დედაკაცი, ან რამდენად არის შეფერხებული და შეუძლებელი დედათა სწავლა-განათლება სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო პროვინციაში და რამდენად საჭიროა, რომ ამ უბედურ მდგომარეობას ქართველ ქალისას მალე მოეღოს ბოლო და პატრონი გამოუჩნდეს?

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ნაბოძების ფულის გასანაწილებლად არჩეულმა კომისიამ ქალთა განათლებას მხოლოდ მეათედი ნაწილი მიჰკერძა-მეთქი (მიკვირს რატომ მეთოთხმეტედი არა, კანონისამებრ) და ეს მცირე მოწყალებაც მხოლოდ კომისიის წევრებმა გაიმეტეს. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ქალთა აღზრდის საქმეს ყური არც-კა ათხოვა და თელავის მაზრის აზნაურთა კრებამ კერძოდ ხომ, როგორც იქაური კორესპონდენტი იწერება: თუმცა ქალებმა ფულის განაწილებაზე დიდი პროტესტი გამოაცხადესო, კრებამ მაინც თავისი დადგენილება არ შესცვალა და მთელი თავისი ნაწილი ფულისა იქაურ ვაჟთა მოსამზადებელ კლასებისათვის მოისურვაო“. ქალებისათვის-კი გადასწყვიტა ბანკს სთხოვოს ორმოც და ათი თუმანი და თელავის „ზავედენიაში“ ქართულის ენის მასწავლებელი მოიწვიოსო და ზედ თელავის მარშლის აზრიც დაუმატა: კახელ თავად-აზნაურთა ქალები უფრო განათლებულნი არიან, ვიდრე კაცებიო და საბუთად ის დაასახელა, რომ ხშირად განათლებულნი ქალნი გაუნათლებელ კაცებს მიჰყვებიან ცოლადაო“.

ნუ თუ ეს მართალია, ანუ უკეთა ვსთქვათ, სამართლიანია? ოც და ორი წელიწადია თავად-აზნაურთა სკოლები არსებობს მხოლოდ ვაჟებისათვის; ყოველი მამა, რა შეძლების პატრონიც უნდა იყოს, ყოველთვის ვაჟს უპირატესობას აძლევს და პირველად ამას აბინავებს სკოლაში, რომელთა სიმრავლეც, ქალთა სასწავლებელთან შედარებით, ბევრად მეტია და მაინც ქალნი უფრო მეტად ნათლდებიან? აქ უთუოდ სასწაულთ-მოქმედება არის რამე და იმედი გვაქვს, კახელნი მანდილოსანნი გვაუწყებენ და მოგვცემენ ღონისძიებას ჩვენც, სიბნელეში მყოფთ დანარჩენ ქართველ ქალთ, უსკოლოდ გავნათლდეთ და სწავლის სიბრძნე თილისმით შევიძინოთ.

აგერ თხუთმეტი წელიწადია ტფილისში დაარსდა ქალთა საზოგადოება იმ ფონდის შესადგენად, რომლითაც უნდა აგებულიყო მომავალი ქალთა სკოლა. ამ საზოგადოების მოთავეთ იმედს აძლევდნენ საუკეთესო ქართველთ წარმომადგენელნი: ოღონდ ქალებმა ფეხა გამოიჩინეთ და ამ საქმეს საძირკველი ჩაუყარეთ და ყოველი ჩვენი ღონისძიება თქვენის საქმის აღორძინებისათვის იქნება მიმართულიო. სად არის ეს დაპირება? რითი დაგვიმტკიცეს ჩვენმა ძმებმა ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში, რომ ქალთა განათლებაც იმათი საზრუნი საგანია? ერთხელ გვითხრეს, ბანკის ყოველ-წლიურის მოგებიდან ორას-ორას თუმანს გიწილადებთო. ჩვენ ვიუკადრისეთ. „მოწყალებას-კი არა ვთხოულობთ, ჩვენს კანონიერ წილს მოვეღითო“. ამაზედ ტაში დაგვიკრეს და ღირსეული წილი აღგვითქვეს. და აი აქამომდე არამც თუ არავითარი წყარო არ აღმოგვიჩინეს, **ნაბოძებსაც** ხელიდგან გვაცლიან და ჩვენის განათლების საქმე თითქმის სამუდამოდ ფერხდება და მეტ საქმედ არის მიჩნეული.

ნურვინ იფიქრებს, რომ ვაჟთა აღზრდა ჩვენ, ქალებს, პირველ საქმედ არ მიგვაჩნდეს და სათავად-აზნაურო სკოლებისთვის გვშურდეს ის მცირე მსხვერპლი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იმისთვის იმეტებს, ღმერთმა დაგვიფაროს! საზნაურო სკოლები ჩვენ მარჯვენა თვალად მიგვაჩნია, ვამაყობთ ამ სკოლებით, მხოლოდ გვსურს იმათი მინაგვარი ქალთათვისაც დავაარსოთ, მარცხენა თვალსაც არ ვივიწყებთ და, ვინც ივიწყებს, ის სამართლიანობის გზას უხვევს და ტყუილად ივიწყებს, რომ **ცალთვალა ადამიანი მხოლოდ ნახევარ ადამიანია!**

მე ვთხოულობ და იმედი მაქვს ყველა მხრიდგან ხმას მომცემენ ჩემი დები თავიანთის განმარტებით, რასაკვირველია, რომ ბანკების დამფუძნებელთათვის დაბრუნებულ თანხას ნახევარი და ნახევარიც უმაღლესად ნაბოძებისა, გადიდოს ქალთა მომავალ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ და, როცა ეს თანხა იმდენად თვალსაჩინო შეიქმნება და მისი ქირისუფლები იმდენად შეამზადებენ იმ სკოლის მომავალ ფიზიონომიას, რომ ყველასათვის ნათლად დასანახავი გახდება იმისი ღირსება და სარგებლობა, ქალთა სასწავლებელი დაარსდება.

ეს ფრიად დიდი საქმე **საეროვნო** საქმედ უნდა ჩაითვალოს და მთელმა ქართველობამ, ამერ-იმერმა განურჩევლად, ერთი დიდი და მასთან, რაც შეიძლება, უნაკლულო ქართული დედათა სკოლა დაარსეს ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში. აქ, ერთ ჭერ ქვეშ, ერთის აზრით, ერთის ზნეობრივის გავლენის ქვეშ, გაგვეზრდებიან ოჯახის მომავალნი ბურჯნი და ოჯახთან ერთად ბურჯნი ენისა, ზნეობისა და თვითცნობიერებისა.

ფულის განაწილება მომავალ თავად-აზნაურთა კრებისათვის გადაიდო. იმედია, ჩვენნი ძმანი მაისამდის იმდენად მხნედ და გონივრულად დაიცავენ თავიანთ საქმეს, რომ კრება პატივსა სცემს იმათ დადგენილებას და ჩვეულებრივის ქართულის გულუხვობით მიუწყობს მათ ხვედრს და ქალთა **ქართულის** სკოლის დაარსებას გზას გაუხსნის.

ეკ. გაბაშვილისა

ნარკვევი.

გაზეთს „С. Пет. Вѣд.“-ში დაბეჭდილი შემდეგი წერილი მინსკის ქალაქიდგან:

„აქაურ სადურგლო სახელოსნოების ებრაელმა მუშებმა სთხოვეს უმაღლესს მთავრობას, ნება მოგვეცით მუშათა კლუბი დავაარსოთო. როგორც ამბობენ, აქაურმა ადმინისტრაციამ უკვე მიიღო სამინისტროსაგან ბრძანება, შეკრიბოს საჭირო ცნობანი ამ საქმის შესახებ.

კლუბის დაარსების სურვილი გამოიწვია მუშების სამწუხარო მდგომარეობამ:—მეტად დიდი სამუშაო დღე, მცირე ფასი, სამუშაოს უქონლობა,—აი რამ აიძულა მუშები შეერთდნენ და ერთად იზრუნონ თავისის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობის ნებართვით და ჟანდარმის პოლკოვნიკის თანადასწრებით მუშები რამდენჯერმე შეიკრიბნენ თავიანთ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებაზე განიხილეს ისეთი საგნები, რომლებსაც მარტო დურგლებისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მაგ. შეეხნენ საზოგადოდ მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას და იმ ღონისძიებათ, თუ როგორ უნდა იქმნეს განკარგებული ეს მდგომარეობა ნივთიერად და გონებრივად; აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ სახელოსნოების პატრონები ყურადღებას არ აქცევენ 1893 წ. კანონს, რომელიც თხოულობს სახელოსნოებში სამუშაო დღე 12 საათი იყოს (აქედგან 2 საათი უნდა მიეცეთ მუშებს საუზმისა და სადილისათვის). როდესაც დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარონ მუშებმა თავისუფალი დრო, გადასწყვიტეს კლუბის დაარსება. წესდების პროექტით, კლუბის დანიშნულებაა: შეიკრიბნენ ხოლმე მუშები ერთად თავიანთ ინტერესებზე მოსალაპარაკებლად, დაეხმარონ მუშების გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას და გააძლიერონ მათ-შორის თვით-მოქმედება. ამ აზრით კლუბთან გაიმართება ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ლექციები და საუბრები სხვა-და-სხვა საგნებზე. კლუბის ნივთიერ სახსარს შეადგენს ნამდვილ წევრთა (ასეთებად შეუძლიან იყვნენ მხოლოდ ხსენებული მუშები) ერთხელად და ყოველ-წლიური შეტანილი საწევრო ფულები (1 მან 50 კ. წლიურად), თანამგრძნობ-წევრთაგან, შემოსული წარმოდგენებისა და კონცერტებისაგან და სხვა-და-სხვა შემოწირულებანი. კლუბს განაგებს წევრთა საზოგადო კრება, ამორჩეული გამგეობა და სარევიზიო კომისია.

მუშებს ძალიან აინტერესებს ეს კლუბი. ყოველ შაბათობით იკრიბებიან მუშები. ამ კრებათა საგანი ეხლა მომავალ კლუბის დაარსებაა. კრებას ხელმძღვანელობენ განათლებული კაცნი. ამას წინად ზოგიერთ დურგლის მეთაურობით გაიმართა მუშათა საცეკვაო საღამო; ბილეთი ღირდა მუშებისათვის 5 კაპ. ინტელიგენტებისათვის—50 კ. ამ გვარი საღამოები ხშირად გაიმართება მომავალ კლუბში“.

სასურველია ასეთის კლუბების დაარსება ჩვენშიაც იქმნეს შემოღებული. სხვა და სხვა გასართობ და განმავითარებელ დაწესებულე-

ფელეტონი

პატარა სიმღერები.

I

გალიაში ზის ბულბული,
მწუხარე, მოსთქვამს, კვნესის:
სტირის თავისს ტყვეობასა;
ვერ ივიწყებს ძვირფასს ტყეს ის!
უცხოეთში გადაკარგულს
მამულიშვილს ცრემლი ცხარე
სდის თვალთაგან: აგონდება
საყვარელი თვისი მხარე!..

II

სამშობლოსთვის საბრძოლველად
გაასტუმრა დედამ შვილი
და უსურვა გამარჯვება,
ან გმირული მას სიკვდილი;
დამარცხება და სიცოცხლე
ვერც-კი წარმოუდგენია;
დამარცხებულ შვილის ნახვას
მკვდარი ნახოს, ურჩევნია!..

დუტუ მეგრელი

მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მართვა-გამგეობის მოწყობა.

პატივცემულ „ცნობის ფურცლის“ 15 დეკემბრის ნომერში დაისტამბა წერილი ი. ქუთათელაძისა: „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ჩვენში“. ჩვენ არ ვეთანხმებით იმ წერილში ავტორის მიერ გამოთქმულს მოსაზრებას, სხვათა შორის, შესახებ ამხანაგობათა მართვა-გამგეობის მოწესრიგებისა და, ვინაითგან სოფლის ამხანაგობათათვის ეს საგანი ყოველ-დღიურს ვარამზე მეტი თუ არა, ნაკლები არ არის, საჭიროდ მიგვაჩნია ამ გარემოების შესახებ ჩვენი მოსაზრებაც გამოვსთქვათ.

ავტორის სიტყვით, თუ დღემდის მეაბრეშუმეთა I-ლი ამხანაგობას და „შუამავალს“ სამინისტრო წესდებას არ უმტკიცებს, ეს იმისი ბრალია, რომ ამ ამხანაგობათა წესდებანი „სამინისტროს მიერ 1897 წელს გამოცემულის ნორმალურის წესდების თანახმა არ არის“. ავტორი გვირჩევს, მივბაძოთ „დრანდის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“ და ქუთაისის „კოლხიდას“, რომელთაც თავიანთი წესდება გადმოუწერიათ ნორმალურიდგან და დამტკიცებაც მალე ჰღირსებიათ; თუ ასე არ მოვიქეცით, მისის სიტყვით, ჩვენ ვერ ვეღირსებით სამინისტროს მიერ ჩვენს წესდებათა დამტკიცებას.

გაკვრით უნდა მოვიხსენოთ აქ, რომ მეაბრეშუმეთა I ამხანაგობის წესდება სამინისტრომ უკვე დაამტკიცა წარსულის წლის (1901) ივნისში და ეს არა ერთ-გზის გამოცხადებულ იყო ჩვენებურს გაზეთებში. „ივერიაში“ ისიც კი იყო მოხსენებული, თუ რითი განსხვავდება ახლად დამტკიცებული წესდება ნორმალურისაგან...

ბ-ნი ი. ქუთათელაძე ღირსებითაც უმჯობესად ჰპოვებს ნორმალურ წესდებას. ის აღნიშნავს ერთად-ერთს განსხვავებას ნორმალურსა და ჩვენის ამხანაგობის წესდების შუა: ნორმალურის წესდებით, წილის ფულს ეძლევა ვითომ მანეთზე არა უმეტეს ხუთის კაპეიკისა (5%), მაშინ როდესაც ჩვენ გვითხოვია 12%-ის დარიგება. საქმე ის არის, რომ თვით სამინისტრომ ნორმალურს წესდებაში ხუთი პროცენტი რვად (8%) შესცვალა, რაც გამოცხადებულ იყო შარშან რუსულსა და ჩვენებურ გაზეთებში. მაშასადამე, მეაბრეშუმეთა I ამხანაგობის წესდებითაც, სამინისტროსაგან უკვე დამტკიცებულით, დივიდენდად დაურიგდებათ წევრთ არა უმეტეს მანეთზე რვა კაპეიკისა. სხვა განსხვავებას ქ—ძე ვერ ჰპოვებს ამხანაგობისა და ნორმალურ წესდებათა შორის, თუმცა-კი იგი არსებობს.

სამაგიეროდ, თვით ქუთ—ძე წერილის ბოლოში არსებითად წინააღმდეგია ნორმალურის წესდებისა, რომლის შეუცვლელად მიღებას ასე დაჟინებით გვირჩევს თავისის წერილის დასაწყისში. ის ითხოვს, რომ 1) ამხანაგობამ შემოიღოს წარმომადგენელთა საზოგადო კრებანი და 2) რომ კრებამ, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გარდა, აირჩიოს კიდევ „ზედამხედველი კომიტეტი ანუ საბჭო“ ამხანაგობის საქმეთა მმართველობად.

არც წარმომადგენელთა კრება და არც საბჭო ნორმალურმა წესდებამ არ იცის. რათა? თუ სასოფლო ბანკების ნორმალურ წესდებაში არ დაჰვიწყებია სამინისტროს საბჭო, აქ რაღათ დაავიწყდა? ეს საგანი ადვილი ასახსნელია: ამ ამხანაგობათ—სამეურნეო-სამრეწველოს და საბანკოს—სხვა და სხვა ხასიათი აქვთ და წესდებაც თავიანთის ხასიათისა ეჭირვებათ. ბანკის გამგეობა საბჭოს უდასტუროდ არას აკეთებს. *) სავაჭრო დაწესებულების გამგეობა-კი, როგორც სამეურნეო-სამრეწველო ამხანაგობისა, თუ მომხმარებელთა საზოგადოებისა, ვერ ითმენს გამგეობის მეტის-მეტად გართულებას, მეტს სისწრაფეს ითხოვს საქმის წარმოებაში და ხშირად უდროვოდ საქმის გახმიანებასაც უფრთხის, რაც მოუხერხებელია, როცა გამგეობა რვა-ცხრა კაცის ხელშია...

წარმომადგენელთა კრების შესახებ ქ-ძე სწერს: „ყველასათვის ცხადია (?), რომ ის კრება, რომელსაც 500—600-ზე მეტი წევრი უნდა დაესწროს სხვა და სხვა შორეულ სოფლებიდგან, ვერასოდეს (?) ვერ განიხილავს(!) ვერც ერთს (!!) ამხანაგობისათვის საინტერესო საგანს, რის მაგალითსაც მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრება გვიჩვენებს“!?. ამას ჰქვიან რიყეზე ჩასვლა და ქვის არ დანახვა, ანუ შემცდარის აზრის უკუღმა დასასაბუთებლად არსებულ ფაქტის უარყოფა და უდანაშაულო დაწესებულების აშკარად ცილის წამება.

რომელი საინტერესო საგნები დაჰრჩა განუხილველი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის ამა თუ იმ საზოგადო კრებას?! ცხადია, არც ერთი და არც როდის... პირ-იქით, თითონ ამ ამხანაგობის კრებანი ამტკიცებენ, რომ ასჯერ უპრიანია კრებას ის დაესწროს, ვისაც არსებითად ეხება კრებისაგან გადასაწყვეტი საგანი და არა მისი წარმომადგენელი. მოვიყვან თვით ქ—სთვის ცნობილს მაგალითებს. 1) თავისს წერილში ბ-ნი ქუთათელაძე უჩივის გურიის „შუამავლის“ წარმომადგენელთა კრებას, რომელმაც შარშან-წინ ორ თუმნიანის წილის შემოსატანი სამ თუმნიანად გადააქცია. განა ასეთს დადგენილებას შეიწყნარებდნენ სოფლის მეაბრეშუმენი, პირ-დაპირ მათთვის რომ ეკითხნათ ამ საგნის გადაწყვეტა?! 2) ქ- ძეს სამართლიანად მოსწონს წილის ფულზე დივიდენდების შემცირება მწარმოებელთა სასარგებლოდ. როცა მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის საზოგადო კრებამ დაადგინა 1897 წელს დივიდენდების შემცირება და ნაწარმოებზე დამატებითის ფასის მიცემა, ვინ იყო მაშინ კრებაზე ამ საგნის შეწყნარების წინააღმდეგი?—ისინი იყვნენ, ვისაც წარმომადგენლობა არ ასცდება, რამდენჯერაც უნდა უყაროთ კენჭი, 3) დავასახელებ მესამე საკითხს, რომელიც მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის საზოგადო კრებამ უარჰყო და რიგიანადაც მოიქცა, ხოლო წარმომადგენელთა კრებისათვის რომ გვეკითხა, ასში 99 საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიიღებდა. თვით ბ-ნმა ი. ქუთ—ძემ წამოაყენა ეს საგანი და დღესაც თავისს წერილში გვირჩევს იმის მიღებას... მისის აზრით, მეაბრეშუმე ვალდებული უნდა იყოს, რომ ნაწარმოები უსათუოდ ამხანაგობას ჩააბაროს და გარეშე მყიდველს არ მიჰყიდოს. დიაღაც მოვალეა ზნეობრივად ამხანაგობის წევრთ, რომ ასე მოიქცეს, მაგრამ ამ შემთხვევაში წევრს უნდა აიძულებდეს პირ-დაპირი ვაჭრული ანგარიში და არა კრების პროტოკოლები.

წარმომადგენელთა კრება გურიის „შუამავალმა“ დიდი ხანია შემოიღო. დანიშნა წარმომადგენლებად 50 კაცი. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ამ წარმომადგენელთაგან კრებას ესწრება 10—15 კაცი. მართალია, პირველად კრება არ შესდგება, მაგრამ მეორედ იგი კანონიერია... ამ ნაირად, 10—15 კაცი (ამათგან ნახევარზე მეტი თვით ამხანაგობის მმართველობა, წარმოადგენს საზოგადო კრებას!.. რასაკვირველია, „არასოდეს არც ერთი“ „საინტერესო ამხანაგობისთვის“ საგანი განუხილველი არ დაჰრჩება ასეთს კრებას. სადაც ენებება, დაადებს ალაბს და, გაზომის უმალვე, გადასჭრის. „სიტყვა“ და „რეჩები“ თავზე საყრელი ექმნებათ. შიგა და შიგ ჩაიც მიერთმევა წევრს გულ ყელის დასაამებლად. როგორ გნებავთ ასეთი კრება 600 წევროვანს კრებას შევადაროთ?!. სამოვრად იალბუზის მთა არ გვეყოფა და კრების დასამთავრებლად კიდევ სამი რვეალი წელიწადი, თვითოეულმა წევრმა რომ თითო „რეჩი“ ირგუნოს თვითოეულ საკითხის განხილვისათვის!..

მაგრამ უბედურება ის არის, რომ მეაბრეშუმეების დიდძალს უმეტესობას თბილი წყალი და უფრო კიდევ წყალ-წყალა „სიტყვების“ სმენა არ უყვარს და წყლის ნაყვაში დროს ტარება ჰირივით ეზარება.. სწორედ ასეთ წევრთა კრების ხელ-ახლად შემოღებას

---

*) აქაც-კი, «საკრედიტო ამხანაგობათა» სანიმუშო წესდებაში, მაგალითად, სახელმწიფო ბანკს, რომლის ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ ამხანაგობანი, საბჭოსთვის სარევიზიო კომისიის უფლებანი უკმარებია, ხოლო საბჭოს უფლებანი, როგორც წევრთა კრედიტის განსაზღვრა და სხვა, გამგეობისათვის დაუკისრებია.

ავტ.

თა მოთხოვნილებას ჩვენშიაცა ჰგრძნობს ხალხი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს არა ერთი და ორი გულ-შემატკივარი აღმოუჩნდება ჩვენებურ განათლებულთა შორის.

ბიბლიოგრაფია

«Мцхетъ и его соборъ Свэти-цховели. Историко-археологическое описаніе А. Натроева» Тифлисъ. 1901 г. (1—464 стр.).

1894 წ., 16 ნოემბერს, დაარსდა კომიტეტი მცხეთის საპატრიარქო თორმეტთა მოციქულთა ტაძრის განსაახლებლად. ამ კომიტეტმა თავის წევრს, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. ანტ. ნატროშვილს მიანდო ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა მცხეთის ტაძრისა, რომელსაც ქართველი ხალხი უწოდებს „სვეტი-ცხოვლის ტაძარს“.

ამ მინდობილობის თანახმად, ბ. ა. ნატროშვილის მუყაით შრომასა და საისტორიო მასალის შესწავლას მოჰყვა ნაყოფად ზემოდ დასახელებული, რუსულს ენაზედ შედგენილი და დაბეჭდილი წიგნი, რომლითაც მკითხველს შეუძლია შეიტყოს მცხეთის საპატრიარქო ტაძრის ისტორიული სვე-ბედი და ამ ტაძრის სვე-ბედთან მჭიდროდ დაკავშირებულნი მოვლენანი და შემთხვევანი მრავალ-წამებულის ქართველი ერის ცხოვრებიდგან.

მცხეთის ტაძრის დაარსება ეკუთვნის იმ დროს, როდესაც საქართველომ უკუაგდო წარმართობა და მიიღო სახარების მცნება, რომელმაც ყოველის მხრით ძირითადი ცვლილება მოახდინა ერის ცხოვრებაში და დააყენა იგი წარმატების გზაზედ. იგი ტაძარი დიადი ძეგლია ქართულის ხუროთ-მოძღვრებისა, რომელსაც აჩნევია უტყუარი ბეჭედი ქართველის ეროვნულის ნიჭისა. მცხეთის ტაძარი მოწმეა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანის წამებულის ცხოვრებისა, აკვანია ქართველ სარწმუნოებისა, [illegible] მათის ქრისტიანობისა. მცხეთის ტაძრის წიაღიდგან მრავალ საუკუნის განმავლობაში თამამად და უშიშრად გაისმოდა ციური სიტყვა ძმობისა და ერთობისა, გაჭივრებულთა, დავრდომილთა და ტვირთ-მძიმეთა გამამხნევებელი, გაისმოდა ღაღადისი და ქებათა-ქება ძლევა-მოსილის სიყვარულისა მოყვასის მიმართ...

განახლება ასეთის შესანიშნავის ნაშთისა, რომელთანაც დაკავშირებულია ქართველი ერის საუკეთესო მოგონებანი, მისის ცხოვრების შეგნებული დასაწყისი, ყველა ქართველისთვის, რომლის გრძნობაც და გონება დამახინჯებული არ არის სხვა-და-სხვა ცრუ მოძღვრებით, სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამისთვის სიამოვნებით გადავიკითხეთ თავიდგან ბოლომდის ბ. ა. ნატროშვილის შრომა, რომელსაც მცხეთის საპატრიარქო ტაძრის აღწერაში ცალი არ მოეპოვება ქართულს საისტორიო მწერლობაში. ქართულს და რუსულს ენებზედ დიახ მოიპოვება ცნობები ამ ტაძრის შესახებ, მხოლოდ ეს ცნობები გაბნეულია აქა-იქ რამდენსამე წიგნში და დრო გამოშვებით გამოცემებში. აქამომდე ჩვენ არა გვქონდა ვრცელი და სრული აღწერა ამ ტაძრისა, რომლის სვე-ბედის გაცნობა სწყუროდა და სწყურია ბევრს რუსსა და უცხო ტომთა წარმომადგენელს. აქამომდე არ იყო არც ქართულს და არც რუსულს ენაზედ ამ ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა, სამეცნიერო საფუძვლებზედ დამყარებული და საისტორიო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებული... ბ. ნატროშვილის შრომა, როგორც ვთქვით წინასიტყვაობაში, არის „პირველი ცდა მცხეთის საპატრიარქო ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიურის აღწერისა“.

როგორც სჩანს, ავტორი ცდილა თავის შრომისათვის მიეცა სამეცნიერო ხასიათი. ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერისათვის საჭირო იყო დიდი დრო, დაბეჯითებითი შრომა, მრავალის მასალის რუსულს, ფრანგულს და ქართულს ენებზედ შეკრება, შესწავლა და კრიტიკული დაფასება. ბ. ნატროშვილს, კეთილშობილურის სურვილით გატაცებულს, არ დაუკლია შრომა ტაძრის და მასთან დაკავშირებულის ისტორიის აღსაწერად, მაგრამ მაინც მოჰსვლია ზოგიერთი შეცდომა, რომელიც აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ავტორი შრომის დროს ჩქარობს და საისტორიო მასალას გულ-დადებით, მეცნიერულად არ იკვლევს და ერთმანეთში ურევს ლეგენდას და ისტორიულს ჭეშმარიტებას.

ბ. ნატროშვილის აზრით, უმთავრესი ღმერთი წარმართ ქართველთა არმაზი იყო, ღმერთი კეთილისა (გვ. 6) და ის სწორედ სპარსთა ღმერთის ორმუზდის (აგურამაზდა) თანასწორი იყო საქართველოში (62). ამ დასკვნას ავტორი დიმ. ბაქრაძის მოსაზრებაზედ ამყარებს, მაგრამ დაახლოვებითი გამოკვლევა ქართველთა წარმართობისა გვიჩვენებს, რომ ქართული არმაზი არ იყო მხოლოდ ღმერთი კეთილისა, არამედ კეთილისა და ბოროტისა ერთსა და იმავე დროს, ღმერთი მრისხანე, შურის მგებელი: ის იყო უფროსი ღმერთი, რომლის წინაშე შიშით და კრძალვით ლოცულობდნენ ქართველები, მას ეპყრა ხელში ხმალი განდგომილთა და უარ მყოფელთა შესამუსრავად, ღმერთი მომავლინებელი ქუხილისა და წვიმისა, მომნიჭებელი ყოვლისა ნაყოფისა... ერთი სიტყვით, არმაზი იყო ღმერთთა ღმერთი. ქართული არმაზი მხოლოდ სახელით მოგვაგონებს სპარსთა ორმუზდსა, ამ ღმერთსა შემოქმედსა ქვეყნისასა, სინათლის მომცემსა და კეთილ საქმეთა და ფიქრთა დასაწყისსა[1]), ორმუზდი სპარსთა შურის მგებელი ღმერთი არ იყო, ადამიანისთვის ბოროტს არ მოისურვებდა, ის იყო განხორციელება სიკეთისა და სიტკბოებისა[2]).

ქართველების არმაზი სულ სხვა ხასიათისაა. ის მოგვაგონებს ებრაელთა იეგოვას, ღმერთსა კეთილსა და მრისხანეს... ებრაელები ძველადთგან საქართველოში სცხოვრებდნენ და ჰქონდათ დიდი გავლენა ქართველებზედ... სპარსთა ორმუზდი ხალხის წარმოდგენით ემორჩილებოდა არიმანთან (ბოროტების ღმერთი) ერთად უფროსს ღმერთსა, რომელსაც სახელად ზურუანა—აკარანა ერქვა[3]). ქართველთა ორმუზდი-კი იყო უდიდესი ღმერთთა ღმერთი,—რომელსაც უფროსი არავინ ჰყავდა. ცხადია, რომ ქართველების არმაზი და სპარსთა ორმუზდი ერთი და იგივე არაა და ბაქრაძის აზრი ამ ღმერთთა იგივეობის შესახებ შემცდარია.

ბ. ნატროშვილის აზრით, ქართველთა მეფემ რევ მართალმა (186—213 წ. ქრისტეს აქეთ) მოჰსპო კერპებისათვის მსხვერპლად ადამიანთა შეწირვა. ამ ცნობას იგი კრიტიკულად არ განიხილავს. სჩანს, რომ ქართველები, რომლებიც ბერძენთა მეზობლად სცხოვრებდნენ, მესამე საუკუნეში მხეცები ყოფილან და თუ მართლა ასეთები იყვნენ, ხომ ქრისტეს სარწმუნოებასაც ადვილად ვერ მიიღებდნენ. ცნობილია, რომ ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ერი ცოტაოდენ მაინც კულტურულად განვითარებული იყო და წარმატების გზას ადგა. ჩვენ ვიცით, რომ კლასიკური მწერლები უქებენ ქართველებს სტუმართ-მოყვარეობას, შემწეობას, რომელსაც იგინი აღმოუჩენდნენ ხოლმე ზღვის ღელვა-გვემულთ და აძლევდნენ სამგზავროდ ფულსა. ჩვენამდე მოუღწევია ცნობას კოლხიდელ ფილოსოფოს მარსიაზედ. გვიამბობენ, ვითომც კოლხიდის გზებზედ ამართული იყო ქვები, რომლებიც მოგზაურებს უჩვენებდნენ თურმე გზის მიმართულებას და სადგურების ადგილ-მდებარეობას. ასეთი იყო საქართველო პომპეის დროსა[4]).

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქართულს მატიანეებში ბევრი ცრუ და უსაფუძვლო ცნობებია ჩვენის ძველის ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები მეისტორიემ უნდა კრიტიკულად განიხილოს. ამისდა მიუხედავად, არიან ჩვენში ისეთი მწერლები, რომლებიც ქართველებს ქრისტეს მოსვლის ჟამს მძორის ჭამასაც-კი მიაწერენ და ადამიანთა მსხვერპლის შეწირვას ღმერთთათვის ხომ უტყუარ საბუთად სთვლიან.

აი, რას ამბობს ბროსსე ამ ორის საცილობო მოვლენის შესახებ: „მეძნელება დავიჯერო, ვითომც იბერიელთ (ქართველებს) ოდესმე ჩვეულებად ჰქონოდეთ კაცის მჭამლობა, რომელსაც ძნელად პოულობენ თვით აზიის ტომთა შორის. ამერიკისა და ოკეანიის მცხოვრებთ აქვსთ ეს ჩვეულება, მაგრამ ისინი ველურნი მეომარნი არიან; იმათ არ იციან არც ბინადრული ცხოვრება, არც იმის საფუძველი, არც მიწის შემუშავება... ადამიანის ჭამა ნაყოფიერის მიწის მუშაკთ იბერთაგან, რომელნიც, ბერძნებისა და რომაელების თქმით, მტკიცედ დაფუძნებულს ტომს შეადგენდნენ, შესაწყნარებელი საქმე არ არის და მე უარ-ვჰყოფ მას“[5])

„მართლაცა, დასძენს დ. ბაქრაძე,—ჩვენს დროს ხმელეთის პირზედ იშვიათი საქმეა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და კაცის მჭამლობა. ამ ჩვეულების მიმყოლნი ტომნი იპოვებიან მხოლოდ ავსტრალიის კუნძულებზედ, ამერიკისა და აფრიკის ველურ მცხოვრებლებში... ავსტრალო-ამერიკელნი ტომნი ისე დაბლა სდგანან გონებით და ზნეობით, რომ იმათთვის კაცის კვლა, მტრის ყელის გამოჭრა ისეთი საქმეა, როგორც ნადირის დაკვლა. იგინი არც თავიანთს სიცოცხლეს სდებენ ფასსა და არც სხვისას. ძველად, ისტორიის წინა დროებში, კაცს სწირავდნენ მსხვერპლად სკვითები, ჩერქეზები, ალბანელები, ბერძნები და ურიასტანის მოსაზღვრე ქვეყნებში მცხოვრებნი[6]). დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენი წინაპრები ამ ჩვეულებაზედ მდგარიყვნენ ქრისტეს უახლოეს საუკუნოებში. იმ დროს იმათ ისე ჰქონდათ დამყარებული სამოქალაქო წესი, ისეთ ხარისხზედ იდგნენ ისინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ყოვლად შეუძლებელი საქმეა, როგორც ეს საფუძლიანად შეუნიშნავს ბროსსესა, რომ ამ მხეცურ თვისებას მაშინ ადგილი ჰქონოდა. მრავალი ფიქრები, რომელიც ჩვენს მატიანეს ისტორიულ დროებში შემოაქვს, უნდა მივათვისოთ ისტორიის წინა დროებს. **კაცის მსხვერპლზედ და მჭამელობაზედაც ესევე უნდა ითქვას**“[7])...

როგორც ვიცით, პირველი მემატიანეები საქართველოში სასულიერო წოდებისანი იყვნენ. ისინი სცდილობდნენ ქრისტიანობის ამაღლებას ხალხის თვალში და მის დანერგვას წარმართობის ნაცვლად და ამიტომ იმათ კეთილ მსახურების ჩაგონებით „ჟამსა მოქცევისა მათისასა სარწმუნოებასა ქრისტესსა“ ძეთა და ასულთა კერპთათვის მსხვერპლად დაკვლის ამბავი, რომელიც საქართველოში შესაძლებელი იყო ისტორიის წინა დროებში,—ქრისტეს მოსვლის უახლოესს დროებსაც მიაწერეს, **„რათა მდაბიოთა ერთა, ისმინონ რა ესე, უმეტეს მოიმღვანონ კერპთა მსახურება“**[8]).

დროა განვდევნოთ ჩვენის ისტორიიდგან ისეთი ცრუ ფაქტები, რომელიც საფუძვლიანად უარყოფილია მეისტორიკოსთაგან და აღარ გავიმეოროთ. ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის შესახებ თქმულება რომ განზრახ შეთხზულია მემატიანეთაგან, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ეს ჩვეულება, როგორც მატიანე ამბობს, მოსპობილი რევის ბრძანებით (186—213 ქრისტეს აქეთ), ხელ ახლად ჩნდება მეფის მირიანის დროს (265—342). თვით წმ. ნინო ხედავდაო, ამბობს მატიანე, როგორ სწირავდნენ ქართველები მსხვერპლად თავისს შვილებსა[9]). მაშასადამე, ან რევს არ მოუსპია ეს ჩვეულება და თქმულება ამის შესახებ განზრახ შეთხზულია, ან მოსპო ეს ჩვეულება, ხოლო ამან ხელ-ახლად მოიკიდა ფეხი ქართველთა ცხოვრებაში. ისიც შესაძლებელია, რომ ეს ჩვეულება არც წმ. ნინოს დროს იყო და მემატიანემ ქრისტიანობის გავლენის გასაძლიერებლად განზრახ შეიტანა იგი მატიანეში.

ბ. ნატროშვილი ქართველთა ღმერთს „ზადენს“ უდრის ბერძენთა „ზევსსა“ და რომაელთ „იუპიტერსა“—ამ შემთხვევაში ავტორი ბროსსეს შემცდარს აზრს იმეორებს. ზადენის თაყვანისცემა საქართველოში შემოიღო მეფე ფარნაჯომმა (112—93 ქრისტემდის) სპარსეთით, საიდგანაც შემოიყვანა მოგვები და მცხეთაში დაასახლა. მას ჰსურდა საქართველოში შემოეღო სპარსთა ცეცხლთაყვანისმცემლობა[10]) იმ სახით, რა სახითაც ის იყო სპარსეთში და ამით მოეშორებინა ქართული სჯულისთვის კერპთ-მსახურების ხასიათი, რომელიც მისცა ფარნაოზ მეფემ... სპარსეთში ცეცხლთაყვანის მცემლობა ანუ ზოროასტრის სჯული, სანამ ქურუმთაგან გაირყვნებოდა, წინააღმდეგი იყო კერპებისა ანუ ღმერთების გარეგანის გამოსახვისა... სპარსები ფიქრობდნენ, რომ ღმერთს სრულიადაც არ უნდა სცეს კაცმა თაყვანი ტაძრებში, ვინაიდგან მთელი დედამიწა და ცა—ერთი დიდებული ტაძარია ორმუზდისა[11]).

ფარნაოზ მეფემ საქართველოში შემოიღო სჯული ზოროასტრისა და მხოლოდ კერპთ-მსახურებას შეჩვეულ ხალხის გულის მოსაგებად ახალი სჯული კერპთ-მსახურებაზედვე დაამყარა: ააშენა ტაძარი ქართლოსის მთაზედ, დადგა კერპი არმაზისა, დააწესა მსხვერპლები და სხვა... ე. ი. სპარსულს სჯულს მისცა ქართული ხასიათი, გადმოაქართულა ეს სჯული[12]). ფარნაჯომმა მოინდომა ქართულის სჯულის გაწმენდა და შემოიღო პირვანდელი შეურყვნელი ზოროასტრის სჯული, რომელიც ყველა მაშინდელს სჯულზე მაღლა იდგა. „ზოროასტრის სჯული სცდილობდა ადამიანი საუკეთესო არსებად გაეხადა, გაეკეთილშობილებინა იგი, ადამიანს ავალებდა სასარგებლო შრომას, სასარგებლო მოქმედებას და წმიდა ცხოვრებას“[13])...

ფარნაჯომს ჰსურდა ეს წმიდა სჯული ქართველებში გაევრცელებინა, მაგრამ ხალხი წინააღუდგა... ხალხის გულის მოსაგებად მან აღმართა კერპი **ზადენი**, რომელიც ხალხმა მიიღო... თავისს ღმერთებს შორის. ხალხი წინააღუდგა მხოლოდ ამ მეფის განზრახვას, რომელიც კერპთ-მსახურების შესუსტებას შეეხებოდა. სპარსეთით მოსულს მოგვებს არაფრად ეპიტნავებოდათ ქართველის ძველი სჯული, მათ ჰსურდათ თავიანთის დამყარება საქართველოში, თავიანთის გავლენის გავრცელება. რა თქმა უნდა, მეფის მოწვეული მოგვები, მის მფარველობაზედ გულდადებულნი, დაუწყებდნენ დევნას ყოველსავე, რასაც ქართული ხასიათი ჰქონდა, შეავიწროებდნენ ქართველ ქურუმებს. ყოველივე ეს ხალხს არ მოსწონდა და მან კერპთ-მსახურების დასაცველად მიჰმართა სომხეთის მეფეს არტაშეზს პირველს, რომლის მეორე შვილი არშაკ [illegible] გამეფდა საქართველოში და ფარნაჯომ [illegible] განდევნილ იქმნა[14]).

ფარნაჯომ განდევნილ იქმნა საქართველოდგან იმიტომ, რომ ერთგული იყო სპარსეთის სჯულისა... მან შემოიღო კერპი „ზადენი“, რომელიც მოგვაგონებს სპარსთა ღმერთის ორმუზდის ერთს უმაღლესს მსახურ სულიერ ძალთაგანს, რომელთაც სპარსეთში „იზედები“ ანუ „ზადები“ ერქვათ.[15])

აქედგან ცხადია, რომ ბ. ნატროშვილის აზრი, დამყარებული ბროსსეს თქმაზე, ვითომც ზადენი ბერძენთა ზევსი იყოს, შემცდარია, მით უმეტეს, რომ ქართველები არმაზის და ზადენის სახელს განუშორებლად ერთად ახსენებდნენ. დედოფალი ნანა, მირიან მეფის ცოლი, ეკითხება წმ. ნინოს: „ანუ ხარ შენ ასული არმაზისა ანუ შვილი ზადენისა“... აჰა ესე რა ღმერთნი ქართლისანი არმაზ და ზადენ“[16])

ილ. ფერაძე.

(დასასრული იქნება)

---

[1] „Энциклоп. словарь Ф. Павленкова. 1899 г. ст. 1560. Источники по введенію христ. въ Грузіи 1893 г. А. Хаханова стр. 23 и 26. «ისტორია» ვახუშტისა, დ. ბაქრაძის გამოც. გვ. 61

[2] Всеобщ. ист. Вебера, т. I стр. 23; П. Мельгуновъ. Первые уроки исторіи Древній Востокъ, изд. 2-ое стр. 121.

[3] ე. ი. „უსაზღვრო დრო და უსაზღვრო სივრცე“—руковод. къ основн. Богосл. Августина, изд. 1887 г. стр. 280.

[4] „Древнѣйшія сказ. о кавказѣ“ стр. 421—427 Услара.

[5] Histoire de la Georgie, 1 p. 31, n. 4; introduction; მისივე, p. XXI; დ. ბაქრაძის «ისტორია საქართველოსი» გვ. 130.

[6] ფინიკიის მცხოვრებნი ცნობილნი არიან თავისს სიმკაცრით. ისინი ქრისტეს წინა დროებში ღმერთს მოლოქს ცოცხალ ადამიანებს სწირავდნენ. (Всеобщ. ист. Вебера т. 2 გვ. 120; Мельгуновъ. стр. 85.

[7] დ. ბაქრაძის «ისტორია საქართველოსი» გვ. 131—132.

[8] «საქართველოს ისტორია» თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვ. 193 და 52—57.

[9] „Мцхетъ и его соборъ Свэти-цховели“ Анатроева, стр. 75—76—136.

[10] „ისტორია საქართვ.“ ბაქრაძისა, გვ. 90.

[11] Мельгуновъ, стр. 124.

[12] „ისტორია“ ბაქრაძისა გვ. 79. ვახუშტი, გვ. 4;

[13] Мельгуновъ, стр. 125

[14] „ისტორია“ ბაქრაძისა გვ. 90.

[15] Вебера, т. I, стр. 23; Жизнеопис. святыхъ Груз. церкви П. Іоселіани, тифлисъ 1850 г., стр. 33

[16] Источники... Хаханова стр. 26—26.

ქრობდა წარსულს კრებაზედ „შუამავალი“, წარმომადგენელთაგან ნაწვნევი და გემო-ნახი...

მიუხედავად ამისა, რაც უნდა წინააღმდეგი ვიყოთ წარმომადგენელთა კრებისა, სანამ საქმე ერთ სააბრეშუმო რაიონს შეეხება, არ შეგვიძლია არ შევურიგდეთ მას, იმ შემთხვევაში, როცა საჭიროება მოითხოვს სხვა-და-სხვა მხრის მეაბრეშუმეთა და მათ ამხანაგობათა შეერთებას... ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება შევამციროთ ნაკლულევანებანი წარმომადგენელთა კრებისა, პირველი მისი ნაკლულევანება ის არის, რომ უმრავლესობა, ხალხი, ველარ ეცნობა საქმის გარემოებას, რადგან, აირჩევს-რა ერთხელვე წარმომადგენლებს, თვითონ კრებას ველარ ესწრება და, რაც უფრო სავალალოა, თვით მისგან არჩეულნი გაურბიან ამ კრებას, როგორც ეს მაგალითებმა დაგვანახვა... ხოლო როცა ხალხი ჰშორდება თავისს საკუთარს საქმეს, ამას მეტად მძიმე შედეგი მოსდევს. ამას ხომ განმარტება არ ეჭირვება. მეორე ნაკლულევანება წარმომადგენელთა კრებისა ის არის, რომ წარმომადგენლად „ნივთთა [illegible]“ ვერ ინიშნება ხოლმე ნამდვილი წარმომადგენელი ხალხის ინტერესებისა. აქედან წარმოსდგება მათი საქმისადმი გულ-გრილობა, კრებაზე დაუსწრებლობა და მათ დადგენილებათა საქმის საჭიროებასთან შეუფერებლობა.

ამ ნაკლულევანებათა შესასუსტებლად წარმომადგენელნი უნდა იქმნენ თითო წლით კერძო კრებაზე. კერძო კრება უნდა მოხდეს ამხანაგობის თვითეულ განყოფილებაში საზოგადო კრების წინად. ყოველივე საკითხი, ისე როგორც წარსულის წლის ანგარიში და მომავლის ხარჯთ-აღრიცხვა, გამგეობისაგან შედგენილი და სარევიზიო კომისიისაგან განხილული, მოხსენდება კერძო კრებას, რომელიც, გაიცნობს-რა საქმეთა მიმდინარეობას საანგარიშო წლისას და მომავლისათვის განზრახულ მოქმედების გეგმას, იქონიებს მსჯელობას მოხსენებულ საკითხთა შესახებ, გამოსთქვამს თავისს შეხედულობას საზოგადო კრების სახელმძღვანელოდ და თან აირჩევს წარმომადგენლებს ერთის წლით თანაბრად ამომრჩეველთა რიცხვისა მოხსენებულს განყოფილებაში. რასაკვირველია, თვითეული განყოფილება შეადგენს ცალკე რაიონს, რომელსაც ამ წესით მოელის თან-და-თანობით ზრდა წევრთა რიცხვისა და საზოგადო კრებაზე მეტის ხმის მოპოვება.

განყოფილებათა გამრავლება-კი არის გამოწვეული თვითონ პარკის აღებ-მიცემობის ხასიათითაც. პარკი, როცა ნედლია, ვერ ითმენს უზიანოდ შორს გადაზიდვას; გარდა ამისა, სხვა-და-სხვა ადგილებიდგან ერთს ადგილს დიდ-ძალის პარკის მოგროვება ხელს არ უწყობს მისს დამზადებას, ჭიების გამოხრჩობას, გახმობას, გადარჩევას, მაშინ როდესაც, ამა თუ იმ განყოფილებაში მუშაც საკმაოდ იშოვება და გამოსახარშავი თუ გამოსახმობი ადგილიც. ამიტომაც განყოფილებებში პარკი სუფთად მზადდება, ჰკარგავს სითეთრეს, და არ ობდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ განყოფილებათა დაარსებას ითხოვენ თვითონ მეაბრეშუმენი, რომ ამით დაუახლოვდეთ პარკის ჩასაბარებელი ადგილი და ღონისძიება მიეცეთ სამუშაოს შოვნისა.

ამ ნაირად, აუცილებლობა ამხანაგობის სამოქმედო რაიონის გაფართოვებისა, აუცილებლობა სხვა-და-სხვა მაზრის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის შეერთებისა ძალას გვატანს, უნებურად შევურიგდეთ და შევიწყნაროთ წარმომადგენელთა კრება, იმ წესით არჩეული, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ.

ნ. წერეთელი.

უცხოეთი

გერმანია. პრუსიის სეიმის დაწყობის დროს სეიმს სიტყვა იმპერატორის მაგიერ გრაფმა ბიულოვმა წარმოსთქვა. როგორც ვუწყით, სიტყვის ბოლოში მუქარა იყო გამოთქმული პოლონელთა მიმართ. „ურთიერთობა ორ ერს შორის აღმოსავლეთს პროვინციებში,—ნათქვამი იყო სეიმ-სიტყვაში,—იმ ზომამდე გამწვავდა, რომ მთავრობამ ნება-უნებურად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. პრუსიისათვის არსებითად საჭიროა დაიცვას შემდეგშიაც ის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომლითაც დღემდე სარგებლობდა და განავრძოს ამ პროვინციებში კულტურული მუშაობა. მთავრობა შესძლებს იმ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც იმისაგან გერმანიის ინტერესები თხოულობენ. საჭიროა პოლონელთა მავნე მიმართულების მოსპობა. მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევენ გერმანელნი, რომელნიც გერმანულ ენის შევიწროებას პოლონელთაგან ერის სახელისა და ღირსების შელახვად სთვლიან“. ოფიციალურ გაზეთების სიტყვით, ამ სიტყვებს სეიმის წევრნი აღტაცებითა და ტაშის ცემით მიეგებებიან. ამას ამბობენ მთავრობის მომხრენი, მაგრამ, როგორც სხვა გაზეთებიდგანა სჩანს, ეს სიტყვები გერმანიაში ძალიან ბევრს არ მოსწონებია. ის უპირატესობა, რომელიც ჰსურთ გერმანელ მცხოვრებთ მიანიჭონ, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, ამბობს, მაგალითად, ცენტრის გაზეთი „Germania“. მეორე გაზეთი—„Volks-Zeitung“-ი სწერს, რომ სეიმ-სიტყვა ჰაკატისტთა კილოთი გაჟღენთილიო. მეორეს მხრივ, მთავრობის სიტყვები ნაციონალ-ლიბერალთა დასსაც არ მოსწონებია: დაბეჯითებით არ შეგვატყობინეს, რა საშუალებათა მიღებაა განზრახული გერმანიზმის დასაცველადაო, გაიძახიან ნაციონალ-ლიბერალნი. თავის მხრივ პოლონელთა კლუბიც შეეკითხა მთავრობას: „ჰსურს თუ არა მას გააუქმოს განკარგულება სამღვთო სჯულის გერმანულ ენაზედ სწავლების შესახებაო“? ქაღალდზედ ხელი უწერიათ პოლონელ და ცენტრის ზოგიერთ დეპუტატებს.

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსოს სამინისტრო ჯერ კიდევ არ ანებებს თავს ნაციონალისტთა და მელინისტთა წინააღმდეგ ბრძოლას. 12 იანვარს (ახ. სტ.) წარმოთქმულს სიტყვაში მინისტრ-პრეზიდენტმა ხელ-ახლა მოუწოდა რესპუბლიკანელთა, ნაციონალისტთა და მელინისტთა საბოლოოდ დასამხობად. მინისტრის სიტყვას რვაასი კაცი უგდებდა ყურს. დიდს აღტაცებას იწვევდა თურმე ვალდეკ-რუსოს ყოველი სიტყვა, ყოველი ისარი, რესპუბლიკის მტერთა მიმართ ნასროლი. სიტყვის შემდეგ დამსწრეთ ნამდვილი ტრიუმფი გაუმართეს ვალდეკ-რუსოს.

ინგლისი. ამას წინად მანჩესტერში არტურ ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ. „ყველასათვის აშკარაა ეხლა, სთქვა ბალფურმა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი მალე დამთავრდება. ევროპის სახელმწიფოები ეხლა უფრო მტრულის თვალით უყურებენ ინგლისს, ვიდრე როდისმე სხვა დროს. დიდად ვწუხვარ ამის გამო, მაგრამ საშიშოს ჩვენთვის ეს მოვლენა მაინც არაფერს წარმოადგენსო. ცრუ ცნობები, ინგლისის მტერთა მიერ გავრცელებული, ჩვენში ზიზღის მეტს არაფერს უნდა იწვევდეს. ჩემის აზრით, ყველასათვის სამწუხარო უნდა იყოს, რომ კულტურულ ერს—ინგლისს—კულტურულივე ერები ტალახში ჰსვრიანო“.

დეპეშა

8 იანვარი.

ვარშავა. სამეტალურგო კრიზისი დღეს მრეწველებს შეეხო.

სარატოვი. პეტერბურგში მიდიან ადგილობრივი წარმომადგენელნი ასტრახანის გზის შესახებ დანიშნულ რკინის გზის დეპარტამენტის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად; უნდა ითხოვონ მარცხენა ნაპირის მიმართულება.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კამათი ადრესის შესახებ. კრანბორნი ამბობს, რომ ისპანიისა და ამერიკის ომის დროს ძალიან მოხდომებული იყო მშვიდობიანობა ჩამოეგდო, მაგრამ უარჰყო სხვის მიერ წამოყენებული წინადადებანი, რომელშიაც ისეთს შთაბეჭდილებას იქონიებდა, თითქოს ძალას ვატანდით ამერიკას და ვკიცხავდით მისს მოქმედებას. ლიბერალს კოულეის შეაქვს წინადადება, რომ მთავრობამ ენერგიულად განაგრძოს ომი. დილკმა გაარჩია მთავრობის ზომები და განაცხადა, რომ ინგლისის არასასურველი მდგომარეობა გამოწვეულია ომის გაჭიანურებით. გოვარდ ვინსენტი უარჰყოფს კოულეის წინადადებას და ამბობს, რომ ომის გათავების შემდეგ აფრიკაში უნდა დარჩეს 4-5 წლის განმავლობაში ასი ათასი კაცი. ჩემბერლენი ამტკიცებს, რომ მთავრობისა და იმპერიალისტ-ლიბერალთა შეხედულობათა შორის დიდი განსხვავება არ არის. კონცენტრაციული ბანაკების გამართვა გამოიწვია ბოტას მოქმედებამ. ბურები სცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ ჩვენ მივიღებთ იმ პირობებს, რომლებიც წარუდგინა კიტჩენერმა ბოტას. მაშინდელი პირობები, რომლებიც მეტად ლიბერალურად იცნეს სრულიად მიუდგომელმა პირებმაც, უარჰყვეს ბურებმა. თუ ბურები დაიწყებენ მშვიდობიანობაზედ მოლაპარაკებას, ჯერ უნდა გამონახონ ისეთი შუამავლები, რომლებსაც ინგლისი აღიარებს ავტორიტეტად. ძლიერ საეჭვოა, რომ კრიუგერს და ვინც მას ახლავს, ასეთი ავტორიტეტი ჰქონდეთ. შემდეგ უნდა წარმოადგინონ ბურების შუამავლებმა პირობები განსახილველად. მთავრობა მზადაა მეტი ამნისტია მიანიჭოს ბურებს, რამდენად ეს შეეთანხმება სამართლიანობას და ინგლისის დაცვას მომავალში. უარყოფილ იქმნა დილონის წინადადება, რომელიც ჰკიცხავდა მთავრობის მოქმედებას აფრიკაში.

ნიუ-იორკი. პანამის ნავთ-სადგურში მოხდა ბრძოლა სამს რევოლიუციონერთა გემსა და ორს მთავრობის გემს შორის. ამბობენ, ყველა გემი დაიღუპაო.

პეკინი. კვანგსის ჩრდილოეთის ნაწილში მოუკლავთ ფრანგი მისიონერი და ორი მონათლული ჩინელი.

ბელფასტი. 13 მოკლულია, რამდენიმე კაცი დაიკარგა.

ორანი. მოკლულ იქმნენ მაროდერების მიერ უცხოეთის ლეგიონის კაპიტნები კრენიე და გრასიენი. ორივე სასაერნოდ იყვნენ. მკვლელები ვერ უპოვიათ.

პარიჟი. გაგრძელება კამათისა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ. კასტელანი თხოულობს განმარტებას საფრანგეთის პოლიტიკისას ჩინეთში. ესტურნელი ამბობს, სამწუხაროა, რომ საფრანგეთი იმპერიალიზმის გზას დაადგა, როდესაც ჩინეთის გაევროპიელების თანახმა გახდა. შეეხო-რა იტალიასთან დაახლოვებას, ორატორი ამბობს: ტრიპოლისის განაწილება ბავშვობაა, კიდეც რომ დავუთმოთ ვისმე, არავინ არ წაიღებს. მერე ოსმალეთზე რომ გადავიდა, გაჰკიცხა ევროპიული პოლიტიკა, რომელიც არ ეხმარება დაჩაგრულებს. რიბერტი აქებს ყურადღებას ინგლისის პოლიტიკას მაროკოში და ამტკიცებს, რომ უნდა მოვთხოვოთ პასუხი ინგლისსა. გიბერი ეკითხება დელკასეს მისი საუბრის შესახებ იტალელ ჟურნალისტთან. დელკასე უპასუხებს: მე პასუხს ვაგებ ჩემი სიტყვებისათვის და არა იმისათვის, რასაც მაწერენ. გიბერი თხოულობს დამატებას და გამოსთქვამს იმედს, რომ 1859 წ. შეცდომანი არ განმეორდეს.

ვარშავა. 21 თებერვალს რუსული საზოგადოება ჰმართავს სადამოს გოგოლის სახელის პატივსაცემად.

9 იანვარი.

იაროსლავლი. მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

პარიჟი. ეტიენმა მოიწონა ინგლისის უწინდელი საახალშენო პოლიტიკა და გაჰკიცხა დღევანდელი მოქმედება ინგლისელთა, რომელთაც უნდათ ხელში ჩაიგდონ საფრანგეთის რკინის გზა ჯიბუტში აბისინიაში, შემდეგ ამბობს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე ნიგერის შესახებ და აღნიშნავს, რომ ინგლისელებმა დაიკავეს ნაყოფიერი ტერიტორია სეიდამ ჩადამდის. „საფრანგეთს უფლება აქვს, გაასწოროს საზღვრები. ჩვენ გვინდა მაროკოს დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენს გავლენას უნდა პირველი ადგილი ეჭიროს. ჩვენ შეურაცხყოფად მივიღებთ ინგლისის მოქმედებას, რომლითაც მას უნდა გაგვაძევოს სიამიდგან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გათანასწორებულ უნდა ვიქნეთ ინგლისელებთან, ყველგან უნდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები". დელკასე უპასუხებს: „ჩინეთის პროტოკოლზე ხელის მოწერით საფრანგეთმა უნდა იამაყოს. ჩვენი მდგომარეობა არ არის არა სასურველი, განსაკუთრებით ოსმალეთის შესახებ. მიტილენაში მომხდარ დემონსტრაციის საგნად ჰქონდა ჩვენი ინტერესების დაცვა. რომ არ დავრჩით მიტილენაში, ამით დავამტკიცეთ ჩვენი მიუდგომლობა და გავამართლეთ ჩვენდამი ნდობა". მნიშვნელობა გზის დაცვას ჯიბუტში. სიამის და გიბრიდის კუნძულების შესახებ საფრანგეთი მოითხოვს ხელშეუხებლობათა დაცვას. მაროკოს შესახებაც კარგ-დ არის საქმე, იტალიის და საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმებამ და აფრიკის კონვენციამ შესცვალეს ამ ორ სახელმწიფოთა ურთიერთობანი: ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს, ეს დაახლოვება განმტკიცდა ტულონის დემონსტრაციებით. ფრანგთა და რუსთა კავშირი არავის არ ემუქრება, მაგრამ უნაყოფოდ ხდის ყოველივე მუქარას, ჩვენსკენ მომართულს. პასტენე თხოულობს ისპანიასთან შეთანხმებას მაროკოს შესახებ. მიღებულ იქმნა რამდენიმე განყოფილება ბიუჯეტისა. დელკასეს თხოვნით აღდგენილ იქმნა კრედიტი ვატიკანის საელჩოსთვის.

პარიჟი. სენატი. ადმირალი შეეკითხა მთავრობას სამსახურის ახალი წესდებულების შესახებ ფლოტში. „მე წინააღმდეგი ვარ გემებზე მღვდლების წინააღმდეგ მიღებულ ზომებისა". ლანესანი: „მე ამით მინდოდა მხოლოდ ყველასათვის სარწმუნოებრივი თავისუფლება მიმეცა, მომესპო ყოველივე ძალ დატანება ამ საქმეში". სენატი ეთანხმება მთავრობას.

პარიჟი. დელკასემ გაათავა თავისი სიტყვა: „ჩვენი და რუსეთის კავშირი მთელს ქვეყანას ცხადად უხატავს ძალას იმ პოლიტიკურ სისტემისას, რომელიც წარმოადგენს ერთის მხრით ინტერესების ჰარმონიას, მეორეს მხრით ძალების თანასწორობას, რაიც თავის თავად იწვევს თანასწორობას უპირატესობაში, სარგებლობაში. ამის რწმენა გამოსთქვეს ახლად არჩეულმა უმთავრესმა რჩეულებმა და ხალხის მამულიშვილობამ, რომელიც სიხარულით ეგებებოდა დიურკირხენიდგან რეიმსამდის დიდებულს სტუმარს. ხელმწიფე იმპერატორის აქ ყოფნა გვიჩვენებს, როგორ დიდად ერთგულია ის საზოგადო საქმის. ხალხს შეეძლო დაენახა, თუ რა მტკიცე საფუძველს აძლევენ არმია და ფლოტი, რომელთა სიძლიერე თან-და-თან იზრდება, იმ კავშირს, რომელიც უნდოდა და მოიპოვა საფრანგეთმა".

ნიუ-იორკი. პანამიდგან იტყობინებიან: რევოლიუციონერებმა გადმოსხეს ჯარები საბრინთან. კოლუმბიის მთავრობა დამარცხდა კარუპანოსთან.

ქრისტინია. ფოლსტინგმა მიიღო კანონპროექტი, რომლითაც ქალებს უფლება ეძლევათ სასამართლოში მონაწილეობის მიღებისა.

მოგებათა ტირაჟი

პირველ მოგებიან სესხის მე-74 ტირაჟში, რომელიც 2 იანვარს მოხდა, მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

ხუთას-ხუთასი მანეთი

№№ ბილეთები	№№ სერიები	№№ ბილეთები	№№ სერიები	№№ ბილეთები	№№ სერიები
1:	1,085	17	9,802	32	18,163
	3,095	17	11,465	33	438
	6,165	17	15,607	33	6,294
	11,494	17	19,593	33	15,215
	14,266	18	10,374	34	405
2:	1,765	18	11,186	34	5,761
	3,020	18	16,800	34	19,828
	11,518	18	19,514	35	2,481
	19,725	19	4,557	35	6,389
3:	1,477	19	5,192	36	5,017
	11,089	19	8,970	36	5,569
	16,459	19	9,802	36	8,269
4:	3,303	19	14,012	36	12,056
	6,027	19	14,273	37	71
	18,802	20	358	37	1,399
5:	7,894	20	7,111	37	1,546
	10,186	20	8,441	37	4,764
	11,358	20	10,363	37	7,744
	16,673	20	11,446	37	14,362
	16,948	20	18,895	38	423
6:	12,976	20	14,689	38	7,059
	14,853	20	18,064	39	713
	18,307	20	18,330	39	1,278
7:	2,255	21	844	39	1,621
	4,810	21	2,219	39	3,711
	17,356	21	5,742	39	9,818
8:	466	21	16,991	39	11,727
	2,093	22	6,874	39	12,952
	6,010	22	9,139	39	19,123
	6,734	22	9,761	40	15,290
	6,887	22	19,569	40	19,892
	7,789	23	6,291	41	5,809
	7,943	23	11,945	41	7,825
	12,006	23	14,142	41	9,966
	15,235	24	1,256	41	10,950
	18,059	24	1,777	41	13,596
	18,411	24	4,667	41	14,209
	19,483	24	6,439	42	239
9:	4,863	24	13,706	42	268
	9,959	24	18,378	42	1,048
	10,056	25	1,863	42	2,608
	11,245	25	1,922	42	3,005
	11,627	25	3,569	42	3,144
	14,749	25	10,794	42	3,711
	15,668	25	12,513	42	5,735
10:	5,030	26	5,958	42	7,129
	9,323	26	8,028	42	14,781
	10,837	26	8,966	42	19,171
	14,704	26	16,003	43	1,828
	16,177	26	18,373	43	4,776
	18,964	26	18,936	43	10,090
11:	4,179	27	1,624	43	10,538
	10,149	27	1,883	43	12,937
	10,461	27	3,051	43	16,832
	12,225	27	8,673	43	19,780
	12,338	27	11,609	44	2,884
	13,828	27	16,423	44	6,102
	15,147	28	1,776	44	13,728
12:	130	28	2,842	44	17,935
	12.680	28	4,749	45	506
	13,419	28	5,688	45	1,537
	18,266	28	7,851	45	13,385
	18,990	28	9,882	45	15,814
13:	10,473	28	9,903	45	16,776
	15,105	28	10,871	46	16,737
	16,512	28	18,483	46	19,685
	17,765	28	18,796	47	271
14:	596	28	19,385	47	7,140
	10,494	29	36	47	13,644
	16,781	29	3,841	47	14,342
	19,108	29	4,338	48	1,434
15:	3,130	29	11,644	48	2,113
	5,722	30	1,002	48	5,426
	6,319	30	7,926	48	10,474
	8,244	30	8,023	48	16,155
	9,175	30	10,849	49	164
	11,609	30	12,558	49	7,354
	14,645	30	12,635	49	15,481
	15,874	30	15,442	49	17,080
16:	8,906	31	7,751	50	4,046
	10,464	31	8,403	50	4,591
	15,975	31	8,821	50	6.827
	16,439	31	8,942	50	9,043
	17,261	31	17,541	50	14,991
	18,319	31	18,834	50	15,686
	18,990	32	7,448	50	17,937
17:	481	32	7,571.		

№№ სერიების, ტირაჟში გამოსულ ფურცლებისა:

1726, 19914, 19084 4083, 3158, 9967, 10115, 1277, 11615, 19080, 80, 510, 18730, 8666, 3125, 17777, 13004, 14763, 7957, 12543, 917, 16403, 17660, 15159, 6208, 6540, 3414, 3766, 16503, 3478, 2967, 614, 10821, 1208, 19412, 17377, 3299, 18018, 4536, 678, 14607, 9002, 10650, 8563, 3020, 4918, 9504, 14237, 19820, 9650, 775, 42, 6609, 7450, 11517, 13403, 2156, 8005, 3217, 8821, 5036, 17836, 7390, 17180, 11746, 6265, 11078, 6066, 17481, 3883, 13764, 5809, 1174, 5701, 5982, 14913, 11520, 18824, 9039, 15918, 7879, 9363, 14759, 18289, 8043, 18420, 9649, 1835, 18546, 14171, 783, 19672, 12197, 1893, 17781, 12454, 17691, 14155, 357, 18134, 14160, 15053, 15858, 8204, 15437, 19034, 19069, 3942, 10422, 12726, 1439, 8998, 10015, 19745, 2079, 18092, 13240, 19302, 15375, 6032, 4408, 3700, 6948, 189, 13528, 12792, 617, 18811, 18138, 7185, 13409, 7834, 1657, 7448, 14602, 17633, 12354, 3312, 19908, 10848, 18323, 18659, 6347, 8637, 11470, 17009, 1468, 7629, 18582, 13099, 762, 14023.

„ივერიის" ფოსტა

—

ქ. დუშეთში, დუშელს ვანოს: გვაცნობეთ თქვენი დაწვრილებითი ადრესი, თუ შეიძლება მალე.

პეტერბურგის ბირჟა, 4 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{1}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა. . . .	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374\frac{3}{4}$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	258 გაყიდ.
$3\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87\frac{1}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	$88\frac{5}{8}$ გასყ.
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82\frac{1}{2}$ მსყიდ.
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	$457\frac{1}{2}$ წერ. გაყიდ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	3900 წერ. გაყიდ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	310 წერ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	146 ›
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

ამერიკის ვაზის სანერგე მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკის ვაზის რქა—ნერგები. **რიპარია** 8 მანეთიდგან 10 მანეთამდე ათასი (მეტრობით), **რუპესტრის** 10-დგან 14 მანეთამდე. **რქები** იმავ ჯიშისა, დასარგავად გამოსადეგი, ეღირება სამი მანეთი ათასი.

იქვე იყიდება ბოჭკები სხვა-და-სხვა ზომისა.

ეკითხეთ: ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სადგ. რიონი**, ანანოვის მამული.

(5—266—2)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"—ზე

და **რუსულ** ПАСТЫРЬ-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი" 3 მ.
— „ რუსული „ 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 5 „
6 თვით „მწყემსი" 2 მ.
— „ რუსული „ 2 „
— „ორივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **ტფილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**— დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **ახალსენაკში**— ბლაღოჩინ მამა არისტარქ [illegible]ანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება **დ. ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и „ПАСТЫРЬ".

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება, დაიბარონ რედაქციიდგან.

(3—2)

როიალები

პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

Музыкальное депо
М. Мириманяна
Тифлисъ. Дворцовая ул.

25—6.—12

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ" въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—7)

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი
„ჯეჯილი"
წელიწადი მეხამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი" მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი" თბილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი"-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"*.

Дозвол. цензурою. Тифлисъ 10-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე